ხონის მუნიციპალიტეტის
ახალგაზრდული საბჭოს სხდომის
ოქმი N 4

ქ. ხონი 25 მარტი 2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს წევრები: ანასტასია კაკაბაძე, გვანცა გვანცელაძე, ნინი ჩიხლაძე, ნინი კუხალაშვილი, დავით აკობიძე, მაგდა ჯიშკარიანი, ეთერ აბზიანიძე, მელანო კოპალიანი, მინდია კიკალეიშვილი, გიგა სულაბერიძე, თამთა ყურაშვილი, ანნა მოგელაძე, გურამ უგულავა, გოგა გახოკიძე, ასევე, სხდომას ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორი ავთანდილ ხობუა და სხდომაზე დასწრების მსურველი ახალგაზრდები: ნატალია თედორაშვილი, ლიზი კვირიკაშვილი, ია ესებუა.
სხდომას არ ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს წევრები: ვასილ აგლაძე, ლუკა გორდულაძე, ბესარიონ კირთაძე.

დღის წესრიგი:

1. საბჭოს კომიტეტების სამოქმედო გეგმის მოსმენა. მომხესენებლები: ახალგაზრდული საბჭოს კომიტეტების ხელმძღვანელები.
2. საბჭოს წევრებისთვის საჭირო ნივთების დადგენა.

მოისმინეს: 1. საბჭოს კომიტეტების სამოქმედო გეგმის შესახებ

მომხსენებელი: დავით აკობიძე, ახალგაზრდული საბჭოს
განათლების კომიტეტის ხელმძღვანელი

ახალგაზრდული საბჭოს განათლების კომიტეტის ხელმძღვანელმა დავით აკობიძემ ისაუბრა სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის ინტელექტუალურ თამაშის რა? სად? როდის? ჩემპიონატი სკოლებს შორის. დოკუმენტური ფილმების ჩვენება და შემდეგ განხილვა საგანმანათლებლო მიზნით.

მომხსენებელი: გიგა სულაბერიძე, ახალგაზრდული საბჭოს
სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის ხელმძღვანელი

ახალგაზრდული საბჭოს სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის ხელმძღვანელმა გიგა სულაბერიძემ ისაუბრა ფეხბურთის ჩემპიონატის შესახებ, რომელიც ჩატარდება სკოლებს შორის.

მომხსენებელი: მაგდა ჯიშკარიანი, ახალგაზრდული საბჭოს
იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი

ახალგაზრდული საბჭოს იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელმა მაგდა ჯიშკარიანმა წარმოადგინა ინიციატივა სამართლებლივი ტრენინგების ჩატარების შესახებ. ასევე დებატები სამართლით დაინტერესებულ ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდების დატრენინგება ვანდალიზმის შესახებ.

მომხსენებელი: გურამ უგულავა, ახალგაზრდული საბჭოს
ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის კომიტეტის ხელმძღვანელი

ახალგაზრდული საბჭოს ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის კომიტეტის ხელმძღვანელმა გამოთქვა მოსაზება ზემოთ აღნიშნულ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდების ექსკურსიაზე წაყვანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს სხდომაზე მყოფმა წევრებმა და საბჭოს კოორდინატორმა ავთანდილ ხობუამ.

მოისმინეს: 2. საბჭოს წევრებისთვის საჭირო ნივთების შესახებ

მომხსენებელი: ანნა მოგელაძე, ახალგაზრდული
საბჭოს თავმჯდომარე.

ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარემ, ანნა მოგელაძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა საჭირო ნივთების ჩამონათვალი: ბლოკნოტები, კალმები, მაისურები, ბეიჯები.

აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა.

დაადგინეს: ახალგაზრდულმა საბჭომ მიმართოს მერიას წერილით ზემოთ ხსენებული ნივთების შესაძენად.

ახალგაზრდული საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, საბჭოს კომიტეტების დამტკიცება მოხდება არა უმეტეს ერთი თვის ვადაში.

დაადგინეს: ახალგაზრდული საბჭოს პიარის ხელმძღვანელად ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით, არჩეული იქნა ნინი კუხალაშვილი ახალგაზრდული საბჭოს წევრი.

ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე: ანნა მოგელაძე

ახალგაზრდული საბჭოს მდივანი: თამთა ყურაშვილი